თარიღი / DATE : 2022.06.15

# საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა

- **საგანი:** სამშენებლო სამუშაოების გავლენაზე მიმდებარე ნაკვეთებზე მდებარე შენობა-ნაგებობების ტექნიკურ მდგომარეობაზე (უსაფრთხოებაზე), როგორც მშენებლობის დროს ასევე ექსპლუატაციის პერიოდში;

- **მისამართი:** ქ. თბილისი, დიდი დიღომი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა #17, (ნაკ. ს.კ.01.10.06.002.031);

- **გამოყენებული მასალები:** საპროექტო ტერიტორიის და ნაკვეთის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთების ვიზუალური დათვალიერება; პროექტის არქიტექტურული ნაწილი; პროექტის კონსტრუქციული ნაწილი; საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა; ტერიტორიის ტოპოგრაფიული გეგმა;

- **საპროექტო ტერიტორიის აღწერილობა:** საპროექტო ნაკვეთის ზედაპირი წარმოადგენს სწორ ტერიტორიას, მცირედი ქანობით და მასზედ დღევანდელი მდგომარეობით არ მდებარეობს რაიმე შენობა-ნაგებობა;

- **დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები:** საპროექტო ტერიტორიაზე დაგეგმილი არის მრავალბინიანი-მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. პროექტის თანახმად შენობა წარმოადგენს მონოლითური რკ.ბეტონის კარკასული ტიპის 10 სართულიან ნაგებობას, საიდანაც 1 სართული გათვალისწინებული არის ავტოსადგომებისთვის. საძირკვლის ტიპად გათვალისწინებულია მონოლითური რკ.ბეტონის ერთიანი ფილა (h=80 სმ), რომელიც დაფუძნებული იქნება თიხებზე, რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: სანგარიშო წინაღობა 2,60 კგძ/სმ$^2$; კუთრი წონა - 1,93 ტ/მ3; დეფორმაციის მოდული E=210 კგძ/სმ$^2$; საპროექტო ქვაბულში, პერიმეტრზე, დაგეგმილი არის ბუნებრივი დახრით ფერდების მოწყობა, დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიებების გარეშე. ფერდის დახრის კუთხე ზუსტდება ადგილზე (სამშენებლო მოედანზე) ამა თუ იმ გრუნტის ტიპის და ზედაპირზე გამოვლენის შესაბამისად.

- **მიმდებარე ტერიტორიის აღწერილობა:**

  - **ჩრდილოეთის მხრიდან** ესაზღვრება ნაკვეთი - ს/კ **01.10.06.002.037;** ს/კ **01.10.06.002.038,** რომელზედაც განთავსებული არის შენობა/ნაგებობა, 6-8 სართულიანები. საპროექტო შენობის ქვაბული მინიმუმ 20 მეტრით არის მოშორებული არსებული შენობებიდან, ამიტომ ის არანაირ უარყოფით ზეგავლენას არ გამოიწვევს.

  - **აღმოსავლეთის მხრიდან** ესაზღვრება ნაკვეთი - ს/კ **01.10.06.002.018;** ს/კ **01.10.06.002.019,** რომელზედაც განთავსებული არის შენობა/ნაგებობა. ვინაიდან ჩვენი შენობის კიდიდან წითელ ხაზამდე არის მინ 10 მეტრი მანძილი, აქედან გამომდინარე,

TEL.: +995 555 58 60 85
E-mail: matesajaia@gmail.ge

აღნიშნულ მხარეს, ბუნებრივი დახრით ქვაბულის ფერდის მოწყობა გავლენას ვერ მოახდენს სხვა შენობა-ნაგებობაზე.

- **სამხრეთის მხრიდან** ესაზღვრება დემეტრე თავდადებული ქუჩა, რომლის სიგანე დაახლოებით 6 მეტრია. ამ მიმართულებით, საპროექტო შენობა საკადასტრო საზღვრიდან დაცილებულია კიდევ 3 მეტრით. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საპროექტო ტერიტორიის მოცემულ მხარეს, საპროექტო შენობა ვერანაირ უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს სხვა შენობა-ნაგებობაზე, ვერც მშენებლობის დროს და ვერც ხანგრძლივი ექსპლუატაციის პირობებში.

- **დასავლეთის მხრიდან:** ესაზღვრება ნაკვეთი - ს/კ **01.10.06.002.041,** რომელზეც განთავსებულია მშენებარე ობიექტი დაახლოებით 8 სართულიანი, 1 მიწისქვეშა სარდაფით, აღნიშნული ობექტის საძირკველი მოშორებულია წითელი ხაზიდან დაახლოებით 2.5 მეტრით, ხოლო საპროექტო შენობის საძირკვლის კონტურიც წითელი ხაზიდან მოშორებულია დაახლოებით 2 მეტრით. ჯამში შენობებს შორის დაშორება არის 4.5 მ-ზე მეტი, რაც გვაძლევს იმის საშუალებას რომ საპროექტო შენობა, აღნიშნული მიმართულებით, ვერ მოახდენს რაიმე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას მშენებარე შენობაზე ვერც მშენებლობის დროს და ვერც ხანგრძლივი ექსპლუატაციის პირობებში.



- **დასკვნა: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, დემეტრე თავდადებულის ქუჩა #17, (ნაკ. ს.კ.01.10.06.002.031), მდებარე ნაკვეთზე დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოები, ვერც მშენებლობის დროს და ვერც ხანგრძლივი ექსპლუატაციის პერიოდში, გავლენას ვერ მოახდენს სხვა შენობა/ნაგებობაზე.**

- მშენებლობა წარიმართოს „მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის“ და „მშენებლობის წარმოების პროექტი“-ს შესაბამისად;
- მშენებლობის პერიოდში მკაცრად იქნას დაცული მშენებლობის წარმოების უსაფრთხოების წესები, მოქმედი საკანონმდებლო დოკუმენტების მოთხოვნების მიხედვით.

მშენებელ-კონსტრუქტორი
ექსპერტი

მათე საჯაია

matesajaia@gmail.com
+995 555 58 60 85